გენელი ან ნათესავი
- ნებისმიერი მესამე პირი, რომელსაც მიაჩნია, რომ ბავშვის უფლებები დაირღვა

საქართველოს კანონმდებლობისა და გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის მიხედვით, ბავშვად ითვლება ადამიანი, რომელსაც ჯერ არ შესრულებია 18 წელი.

## განცხადება უნდა შეიცავდეს:

- სავარაუდო უფლებადარღვევის ფაქტის მოკლე აღწერას
- უფლებადამრღვევი ორგანოს ან ფიზიკური პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებს
- სავარაუდოდ უფლებადარღვეული ბავშვის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების წელი, თვე და რიცხვი

განცხადებას თან უნდა ერთვოდეს, უფლებადარღვევის ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში

განმცხადებლის სურვილის შემთხვევაში, ცენტრი უზრუნველყოფს საკითხის შესწავლის სრულ კონფიდენციალობას.

## თუ თვლით, რომ დაირღვა ბავშვის უფლება, შეგიძლიათ მიმართოთ სახალხო დამცველს.

### სახალხო დამცველის ოფისები მდებარეობს:

**თბილისი:**
ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179
ტელ.: (+99532) 2234499; 2913814; 2913815; 2913841; 2913842; 2913843; 2913875; 2913876; 2913877
ფაქსი: (+99532) 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

**ბათუმი:**
მაზნიაშვილის ქ. 9
ტელ.: 0422 27 05 44
მობ.: 577 50 52 31

**ქუთაისი:**
რუსთაველის ქ. 18
ტელ.: 0431 25 33 50
მობ.: 577 55 33 81

**ზუგდიდი:**
კოსტავას 58
მობ.: 577 50 52 34
ტელ.: 0415 22 36 11

**გორი:**
სამების ქ. №1
მობ.: 577 78 27 42
ტელ.: 0370 27 05 49

**ახალქალაქი:**
ჭავჭავაძის ქ. 4
მობ.: 577 12 27 70 ; 577 12 27 71
ტელ.: 0362 22 32 83

**მარნეული:**
რუსთაველის ქ. 51



ნახატის იდეის ავტორია თბილისში ამერიკული აკადემიის მე-12 კლასის მოსწავლე ანი გიგინეიშვილი.

გამოცემულია გაეროს ბავშვთა ფონდის ფინანსური მხარდაჭერით



# საქართველოს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრი

საქართველოს
სახალხო
დამცველი

თბილისი 2013

# საქართველოს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრი

## დაარსება

საქართველოს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრი (შემდგომში „ცენტრი“) 2001 წელს ჩამოყალიბდა.

## სამართლებრივი საფუძველი

ცენტრის საქმიანობას საფუძვლად უდევს გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებათა კონვენციის პრინციპები. ცენტრი ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, შესაბამისი საერთაშორისო კონვენციებითა და ხელშეკრულებებით, საქართველოს ორგანული კანონით „სახალხო დამცველის შესახებ“, „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის დებულებით“, „საქართველოს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრის დებულებითა“ და საქართველოს მოქმედი სხვა კანონმდებლობით.





## ცენტრის მიზნები და ამოცანები:

- ბავშვის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა
- ბავშვთა საკეთილდღეოდ კანონებსა და პროცედურულ საკითხებში ცვლილებების სტიმულირება
- ბავშვის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის ხელშეწყობა
- ბავშვის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა პოპულარიზაციისა და ამ სფეროში საზოგადოებსი სამართლებრივი ცოდნის ამაღლების მიზნით, საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება

## ცენტრის ფუნქციები:

- ბავშვთა ინსტიტუციების მონიტორინგი
- ბავშვის უფლებების დარღვევის ცალკეული შემთხვევების შესწავლა-გამოკვლევა და მათზე რეაგირება
- საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ორგანოებისათვის რეკომენდაციების წარდგენა
- მოქალაქეთა განცხადებების და საჩივრების განხილვა

ცენტრი ვალდებულია, განიხილოს განცხადებები და საჩივრები იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი სადავოდ ხდის ადმინისტრაციული ორგანოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას ან როდესაც განცხადება/საჩივარი ეხება ბავშვის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტს.

***სახალხო დამცველის აპარატის მიერ, დაინტერესებულ პირთათვის გაწეული სამსახური უფასოა.***

განცხადებები მიიღება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მოქალაქეთა მიღების დეპარტამენტში. განცხადებაში ბავშვის უფლებების დარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში საკითხს შეისწავლის ბავშვის უფლებების ცენტრი.

## ცენტრს მიმართავენ:

- ბავშვი, რომლის უფლებებიც დაირღვა. ასევე, ამ ბავშვის მშობელი, კანონიერი წარმომად-

**საქართველოს სახალხო დამცველს ბატონ უჩა ნანუაშვილს**

# განცხადება

**მონაცემები განმცხადებლის შესახებ**

სახელი: ____________________

გვარი: ____________________

მისამართი: ქალაქი (რაიონი): __________ ქუჩა: __________ № ______

ტელეფონი: __________ ელ-ფოსტა: __________

პირადი ნომერი: ____________________

თარიღი: ____________________

წელი, თვე, რიცხვი

განმცხადებლის ხელმოწერა: ____________________